საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულიკოლეჯის სტუდენტური მხარდაჭერის მექანიზმები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. საქართველოს უნივერსიტეტის კოლეჯის (შემდგომში - დაწესებულება) სტუდენტური მხარდაჭერის მექანიზმები (შემდგომში - მექანიზმები) შემუშავებულია „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების, მოქმედი კანონმდებლობის, განათლების სფეროს ექსპერტთა რეკომენდაციებისა და დაწესებულების წესდების საფუძველზე.
1.2. წინამდებარე მექანიზმების მიზანია პროფესიული სტუდენტის მხარდაჭერის ერთიანი მექანიზმის შემუშავება, რომელიც მოიცავს როგორც საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული მხარდაჭერის ღონისძიებებს, ასევე პროფესიული სტუდენტის სასწავლო გარემოსათან ადაპტირების პროცესის ხელშეწყობასა და სტუდენტური ინიციატივების აქტიურ მხარდაჭერას სამართლიანობის, ობიექტურობისა და გამჭირვალობის პრინციპების საფუძველზე.

მუხლი 2. პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო გარემოსთან ადაპტირება

2.1. დაწესებულება ახორციელებს პროფესიული სტუდენტების აქტიურ მხარდაჭერას ყველა, განსაკუთრებით კი სწავლების საწყის ეტაპზე და ასევე ნებისმიერ ეტაპზე, როცა მათი სასწავლო გარემო იცვლება:
2.1.1. ახალი პროფესიული სტუდენტის სასწავლო გარემოსთან ადაპტირების პროცესს ორგანიზებას უწევს დაწესებულების მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, კერძოდ, მიღებულ პროფესიულ სტუდენტთა ყველა ნაკადისთვის გეგმავს და უზრუნველყოფს მათთან გაცნობით შეხვედრას.
2.1.2. წინამდებარე პუნქტის პირველი ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შეხვედრას ხსნის დაწესებულების დირექტორი, რომელიც ახორციელებს პროფესიული სტუდენტების ინფორმირებას დაწესებულების მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და საქმიანობის ძირითადი პრინციპების შესახებ. ასევე, სტუდენტები ეცნობიან პრეზენტაციებს დაწესებულების სერვისებისა და ზოგადად არსებული შესაძლებლობების, პროფესიულ სტუდენტთა უფლებებისა და ვალდებულებების, სასწავლო პროცესის თავისებურებების, ქცევისა და ეთიკის ნორმების, უსაფრთხოებისა და სხვა წესების შესახებ.

მუხლი 3. სტუდენტური ინიციატივები და მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1. პროფესიული სტუდენტი განმავითარებელი შეფასებების ეტაპზე დაწესებულებისგან მუდმივად იღებს სათანადო კონსულტაციებსა და მხარდაჭერას

სწავლის მიღწევების გასაუმჯობესებლად. აღნიშნულის განსახორციელებლად დაწესებულება იყენებს შემდეგ მექანიზმებს:

3.1.1. განმავითარებელი შეფასებების ეტაპზე პროფესიული განათლების მასწავლებლები ეტაპობრივად, საჭიროების მიხედვით, ორგანიზებას უწევენ ინდივიდუალურ საკონსულტაციო შეხვედრებს იმ პროფესიულ სტუდენტებთან, რომლებსაც გარკვეული პრობლემები აქვთ სწავლის მიღწევების თვალისზრისით. აღნიშნული შეხვედრის ფაგრლებში პროფესიული განათლების მასწავლებელი ახდენს პროფესიული სტუდენტის ინფორმირებას მისი სწავლის შედეგების შესახებ და მასთან ერთად განიხილავს აღნიშნული შედეგის გაუმჯობესების შესაძლებლობებს.

3.1.2. პროფესიული განათლების მასწავლებლები, პერიოდულად, ყოველი მოდულის დასრულების შემდეგ, ორგანიზებას უწევენ პროფესიულ სტუდენტთა ჯგუფურ შეხვედრებს, რომლის ფაგლებში პროფესიული სტუდენტები ერთმანეთს უზიარებენ სასწავლო პროცესში მიღებულ გამოცდილებას და მსჯელობენ იმ საკითხების შესახებ, რომლებიც განვლილი პერიოდის განმავლობაში მათთვის ყველაზე დიდ გამოწვევას წარმოადგენდა.

3.1.3. საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯი აქტიურად თანმშრომლობს საქართველოს უნივერსიტეტთან. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში პროფესიული სტუდენტის/სტუდენტები ინიციატივებით მიმართავენ საქართველოს უნივერსიტეტის კლუბებისა და ინიციტივების სერვისების სამსახურს. საქართველოს უნივერსიტეტი განიხილავს მის/მათ ინიციატივებს და შესაბამისად რეაგირებენ.